განკარგულება:**გ-81. 8126119001**
თარიღი:**29/04/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №13

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფ. ორბელში მდებარე 11 579 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.04.29.872) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 22-ე მუხლისა საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ცაგერის მუნიციპალიტეტის, სოფ. ორბელში მდებარე 11 579 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 89.04.29.872) პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაეცეს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდს 2027 წლის 30 აპრილამდე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი